9073/4-2/21 2 31082021

9073/4-2/21
31-08-2021

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო
ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსს,
ბატონ მამუკა ჯანგულაშვილს

ბატონო მამუკა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. რამდენია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დასაქმებულ ექსპერტთა საერთო რაოდენობა და როგორია მათი გადანაწილება ცალკეული ექსპერტიზის სახეებისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ გენდერულ ჭრილში დამუშავებული სახით.
2. სისხლის სამართლის საქმეებზე გამომძიებლის, პროკურორის, ადვოკატის ან სხვა დაინტერესებული პირის მომართვის მიღებიდან საშუალოდ რა ვადაში ხერხდება ექსპერტიზის (მათ შორის, სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო-ფსიქოლოგიური, სასამართლო-ფსიქიატრიული და სხვა) ჩატარება და ინიციატორისთვის შესაბამისი დასკვნის გადაცემა (გთხოვთ ეს ინფორმაცია მოგვაწოდოთ შესაბამისი ექსპერტიზის სახეობებისა და რეგიონების მიხედვით სეგრეგირებული ფორმით)?
3. რამდენად ხშირია შესაბამისი სქესისა და კვალიფიკაციის ექსპერტის ადგილზე არყოფნის გამო, ექსპერტიზის ჩასატარებლად, გამოსაკვლევი პირის გადამისამართება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სხვა ტერიტორიულ ერთეულში? გთხოვთ მოგვაწოდოთ ამ საკითხის შეფასებისთვის საჭირო თქვენს ხელთ არსებული სტატისტიკური მაჩვენებლები.

4. რამდენი ვაკანსია არსებობს მიმდინარე მდგომარეობით და თუ არის გამოცხადებული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტის (მათ შორის, სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო-ფსიქოლოგიური, სასამართლო-ფსიქიატრიული და სხვა) პოზიციაზე და რა ძირითად სირთულეები გხვდებათ შესაბამისი კადრების მოზიდვის პროცესში? გთხოვთ მიუთითოთ თქვენს მიერ იდენტიფიცირებული რამდენიმე ასეთი მიზეზი და ასევე ამ მიზეზების სიმწვავის შეფასებისთვის საჭირო თქვენს ხელთ არსებული დამატებითი ინფორმაცია.
5. როგორია თქვენი უწყების ხედვა და სამოქმედო გეგმები 1-4 პუნქტებში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე